

ენათმეცნიერება. ონომასტიკა

დაგით ახლოური

სოფელ თეხის მოსახლეობა მეცნამეტე

საუგინის დასაწყისში

(1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით)

მოკლე შინაარსი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი თეხი ისტორიული ქსნის საერისთავოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სასაზღვრო ზოლის სოფელი გახლდათ, რომელიც შექრილი იყო ამილახვრების სამფლობელოში. აქედან გამომდინარე, 1804 წლის პირველ რუსულ კამერალურ აღწერაში იგი ქსნის საერისთავოს სოფლებთან ერთადაა აღწერილი.

ნაშრომის დასაწყისში საუბარია ქსნის ერისთავების სამხრეთი ექსპანსიაზე, საერისთავოს აღზევებაზე და ბოლოს გაუქმებაზე, ასევე მოკლედ მიმოვინილავთ სოფელ თეხის გეოგრაფიულ გარემოს და დირშესანიშნობებს.

მოცემულია ჩამონათვალი იმ პირებისა, ვინც 1804 წლის აღწერის მონაცემებში გვხვდება, დაზუსტებულია ზოგიერთი შეცდომით მითოთებული გვარი, ნაჩვენებია, თუ რა მიწებს ფლობდნენ იქ მოსახლენი, ვის უხდიდნენ გადასახადს და რა სახის იყო ეს გადასახადები. ცალკეა გამოყოფილი მემამულეთა ყმები და ცალკე - საეკლესიო, რომლებიც განსხვავებულ გადასახადებს იხდიდნენ.

ასევე ნაშრომში, სათანადო წყაროების დამოწმებით, საუბარია აქ მცხოვრებთა გვარების წარმომავლობაზე, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი თანამედროვე ახალგორის მუნიციპალიტეტიდანაა თეხში ჩასახლებული.

ბოლოს მოცემულია ცნობები სოფლის დღევანდელი დემოგრაფიული ვითარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ქსნის საერისთავო, კამერალური აღწერა, მოსახლეობა, კომლი, ეპლესია, მიწის მესაკუთრე, სახაზინო გადასახადი.

POPULATION OF VILLAGE TEZI IN EARLY NINETEENTH CENTURY

Abstract

village of Tezi is in the Kaspi municipality, which was a village on the southwestern border of historic Ksani Saeristavo, which had been invaded by the Amilakhvars. Therefore, in the first Russian census of 1804, it is recorded along with the villages of Ksani Saeristavo.

At the beginning of the article we will talk about the expansion Eristavi of Ksani to the south, the erection of Sariistovo and its abolition.

A list of the persons found in the census of 1804 is given, with some erroneous surnames being specified, showing the lands owned by the people who were taxed, and what the taxes were. Landlords and churchmen were separate who paid different taxes.

Also in the work, according to the relevant sources, the origin of the surnames of the inhabitants is mentioned, observation shows that a large part of the population is settled in the modern Akhalgori municipality.

Finally is information about the current demographic situation in the village.

Key Words: Saeristavo of Ksani, Cameral description, Population, Household, The Church, Landowner Treasury tax.

შესავალი. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1804 წელს ჩატარდა პირველი რუსული კამერალური აღწერა, რომლის მიხედვით ყოვილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობა წარმოდგენილია ანანურის მაზრის აღწერილობაში (ანანურის... 254). აღწერის მიხედვით, ქსნის ხეობაში ნაჩვენებია სულ 915 კომლი, აქედან 646 ქართველია, 179 ოსი (ძირითადად ცხოვრობდნენ ქსნის სათავეებთან და მდინარე ჭურთის ხეობაში) და 90 კომლი სომეხი (ცხოვრობდნენ ახალგორში, მათ შორის უმრავლესობა გასომხებული ქართველია, მიზეზები იხ., ახლოური, ახალგორი, 2006).

პირველი კამერალური აღწერის ბეჭდური პირი, საიდანაც ჩვენ ვისარგებლეთ, დაცულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, იგი მუზეუმს 1956 წელს გადასცა ცნობილმა მეცნიერმა სარგის კაპაბაქემ თავისი შენიშვნებითა და კომენტარებით.

როგორც იგი წერს: „აღწერა იძლევა ძვირფას ცნობებს სათა-ნადო სოფლებისა და მხარეების მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ, არკვევს აგრეთვე ამ მოსახლეობის სო-ციალურ რაობას, საკომლო კერძო მფლობელობის შეხამებას სათემო მფლობელობასთან და სხვა“ (გსიემ., 1956, გვ. 5). რუ-სულ აღწერას წინ უძღვდა 1803 წლის ივნისში ჩატარებული იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერა, რომლის შემა-ჯამებელი ოქმები შეტანილია „აქტების“ მეორე ტომში (Акты, 1868, 82-83). ს. კაკაბაძის დაკვირვებით „განსხვავება 1803 და 1804 წლის ცნობებს შორის არის მცირე“ (გსიემ., 1956, 5). და-საწყისიდანვე აღვნიშნავ, რომ რუსულ ნაბეჭდ ტექსტში ხში-რია უზუსტობები სახელების, უფრო მეტად გვარების და სოფ-ლების მითითებისას, რასაც, ჩვენს სტატიაშიც და ზოგადად, ტექსტზე მუშაობისას, შეძლებისდაგვარად ვასწორებთ...

მეთოდები. საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ტექსტს სრულად ახლავს საკვლევი თემის ძირითადი წყარო - პირ-ველი რუსული კამერალური აღწერა. გვარებზე დაკვირვების მეთოდით ვაზუსტებთ გეოგრაფიულ არეალს, საიდანაც მოხდა სოფელ თეზში მოსახლეობის მიზრაცია. საკვლევ წყაროს ვად-არებთ უახლოესი პერიოდის ქართულ სტატისტიკურ აღწერი-ლობებს, შედარების მეთოდი გვეხმარება რუსულ ტექსტში შეცდომით მითითებული სახელების და გვარების დაზუსტე-ბაში. ვეცნობით სოფლის მოსახლეობის თანამედროვე სურათს და ანალიზის მეთოდის მეშვეობით ვახდენთ განსაზღვრას, თუ როგორ შეიცვალა წლების შემდეგ დემოგრაფიული ვითარება.

მიზანი. ნაშრომის მიზანია საზოგადოება გაეცნოს - როგორი ვითარება იყო ქსნის საერისთავოს სოფელ თეზში დემოგრაფიული კუთხით მეცნიერებელ საუკუნის დასაწყისში. რამდენი კომლი ცხოვრობდა, მათ შორის რამდენი იყო მამა-კაცი, რამდენი - ქალი. მითითებული მამულების შემოსავლები-სა და გადასახადების, აგრეთვე მებატონეების მიხედვით გვსურს შევისწავლოთ სოფლის სოციალური და ეკონომიკური ქოფა.

მსჯელობა. 1804 წლის ქსნის სათავადოს მოსახლეობის აღ-წერა სოფელ თეზიდან იწყება, დასაწყისში მითითებულია, რომ სათავადო ეკუთვნოდა მეფის ქეს იოანეს და ამჟამად ერისთავების მფლობელობაშია. მოგეხსენებათ სამხრეთით ექსპანსიის შემდეგ ქსნელი მებატონეები საკმაოდ ვრცელ

ტერიტორიებს ფლობდნენ. დ. გვრიტიშვილის დაკვირვებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მათ განკარგულებაშია 240 სოფელი, გარდა ამისა, ყმები პყავდათ ქალაქ ცხინვალში (20 კომლი და ქართლის სხვადასხვა სოფლებში: პარიანში, ხვითში, ოერგებში, დვანში, ძარში... (გვრიტიშვილი, 1955: 83).

1777 - 78 წლების მიჯნაზე, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე, ქსნის ერისთავის გიორგი ყულარადასის განდგომის მიზეზით სათავადოს აუქმებს. ი. ბარათაშვილის ცნობით: „ქალაქს ჩამოიყვანეს გიორგი ერისთავი ხელ-ხუნდით და რევაზ და ზურაბ ხელშეკრული ჩამოიყვანეს. ქრისტეშობის 1. ქორონიკონს 465 (1777 - დ.ა.) (იასე ოსეს დე ბარათაშვილი, 1950, 81). გიორგი ერისთავის დატყვევებისა და მამულის ჩამორთმევის თარიღად 1778 წელს მიგვითითებს დავით ბატონიშვილი (ბატონიშვილი, 1941: 15). თუმცა ჯ. გვასალია ქსნის საერისთავოს გაუქმების თარიღად 1774 წელს მიიჩნევს (გიორგი ყულარადასის გაერისთავების წელი - დ.ა.) და აღნიშნავს, რომ მეფემ ერისთავებს მხოლოდ ქსნისი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, სათემო, კუმისი, ნაგოლული და გორსა და ცხინვალში ერისთავთა ქონება დაუტოვა, ერისთავთა დანარჩენი მამულები სახასოდ გამოცხადდა და უფლის-წულებს გიორგის (ქსნის ხეობა) და ოულონს (ლიახვის ხეობა) გადაეცათ, თავის მხრივ, გიორგიმ კუთვნილი ხეობა ითანესა და ბაგრატს გადასცაო (გვასალია, 1986: 564). 1786 წელს მეფემ მეამბოხე როსტომ ერისთავსა და მის მმებს მეჯვრისხევი და რამდენიმე სხვა სოფელი ჩამოართვა, 1790 წელს გვერდისძირი და იმავე წელს განდევნებს საერისთავოდან, მათი ქონება კი იოანე, ბაგრატ და ოულონ ბატონიშვილებმა გაინაწილეს. ქსნის, საფერშეთის, ალევის, ცხრაძმის, ჭურთის, ქარხონისა და უამურის ხეობები იოანეს ხვდა წილად. 1801 წლის 27 იანვარს ბატონიშვილებმა ერისთავებს ქსნის ხეობა, მეჯვრისხევი, გაე და გვერდისძირი დაუბრუქეს... უფრო მეტიც, იმავე წლის 3 თებერვალს დავით ბატონიშვილი თავის განმარტებით წერილში აღნიშნავდა, რომ ერეკლემ ქსნის ერისთავებს უკანონოდ ჩამოართვა ქონებათ (Акты, 1878: 379). აქვე იმასაც ვიტავით, რომ 1815 წელს საიმპერატორო კარმა აჯანყებულ ქსნის ხეველთა მოთხოვნით ქსნის ერისთავებს ძალაუფლება ჩამოართვა...

რაც შეეხება სოფელ თეზს, იგი საერისთავოს სამხრეთ-და-საგლეთის სასაზღვრო ზოლის სოფელი იყო. ამილახვრების სა-

მფლობელოში შექრილი თეზი და ლამისუანა ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ, ხოლო ერისთავების სამფლობელოში შექრილი ახმაჯი და ბოლი - ამილახვრებს (გვრიტიშვილი, 1955: 71).

ამჯერად თეზი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს კასპიდან 18 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, მუხრანის ვაკის ჩრდილო-დასავალეთით, ზღვის დონიდან 620 მეტრზე. აქ აღრევე ყოფილა მოსახლეობა დამკვიდრებული, რისი დამადასტურებელიცაა სოფლის მახლობლად აღმოჩენილი გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა (თეზი, 1979: 637).

სოფლის მნიშვნელოვანი ძეგლებია კვირაცხოვლისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები.

კვირაცხოვლის ეკლესია გვიანფეოდალური ხანით თარიღდება, მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, შემაღლებულ ადგილზე, ნაგებია რიყის ქვით. ეკლესის ეზო წრიული გალავნითაა შემოზღუდული, რომელიც დაზიანებულია. იქვეა სასაფლაო (საქართველოს ისტორიის... 1990: 161). XIX საუბრით დათარიღებული წმინდა გიორგის ეკლესია აგებულია რიყის ქვით სოფლის ცენტრში. თავის დროზე მოხატული ყოფილა, მოგვიანებით ინგერიერი შეუდესავთ და შეუთეორებიათ, სამხრეთიდან ეკვრის გალავნით შემოზღუდული პატარა ეზო, სადაც ორი საფლავია (საქართველოს ისტორიის... 1990: 160-161).

2013 წლის წმინდა სინოდის კრების გადაწყვეტილებით, სოფელი თეზი საქართველოს საპატრიარქოს სამთავრისისა და კასპის ეპარქიას ექვემდებარება (წმიდა სინოდის... 2013).

1804 წლის აღწერით თეზში ქსნის ერისთავის, გავრილა რატივეგის (რატიშვილის) და ოიანე ნათლისმცემლის საეკლესიო ქმებს უცხოვრიათ, სულ 36 ოჯახს. რატიშვილები ქსნის ერისთავების განაყარი შტო იყო. 1953 წლის 20 ივნისს, ქსნის ხეობაში მოგზაურობისას, რატიშვილებზე და მათ ქმებზე ყურადღებას ამახვილებს ნ. ბერძენიშვილი: „ქსოვრისი შევიარეთ. აქ იყვნენ რ ა ტ ი შ ვ ი ლ ე ბ ი, მათი საყმო იყო ყანხაეთიც. ქსნის ხეობა უფრო სოფელმრავალია არაგვისაზე. აქა-იქ ერისთავიანთ სახლებია“ (ბერძენიშვილი, 1990: 423). როგორც გხედავთ, რატიშვილებს ქმები საერისთავოს სხვა სოფლებშიც ჰყავდათ. მათი საძვალე ჯერ კაბენის მონასტერი იყო, შემდეგ ისტორიული სოფელი თელოვანი. საგულისხმოა, რომ სოფელი თეზი ერებლე მეორემ 1783 წელს ბეჭან რატიშვილს სამკვიდრო მამულის - ქამურის სანაცვლოდ გადასცა: „ქსანიც ჩუქო-

ვის სახასოთ დავდევით. მოხველ და შენს სამკვიდროს მამულს ჟამურზე ლაპარაგი დაიწყე. უნდა მოგცემოდა, მაგრამ რადგანაც მთაში იყო (მდებარეობს მდინარე ქსნის ზემო წელზე - დ.ა.) ეს შენი მამული, ჟამურიც ქსანზე დავდევით და ჩუენის სახასოთ დავადევით და შენის წილის ჟამურისა, შულავრისა და ქმის სამაგიეროთ, გაგიცვალეთ და გიბოძეთ ლამისყანას ბოლოს თეზი ხარაბა სოფელი“ (სცსა, 1450; გვა-სალია, 1983: 74-75). სიტყვა „ხარაბა“, რომელიც არაბულ-სპარსული წარმოშობისაა, გაჩანაგებულ, ტიალ, მიტოვებულ-თან ასოცირდება. „გვიანდელი ფეოდალური პერიოდის აღმო-სავლეთ საქართველოს საისტორიო მასალებში იხსენიება ხა-რაბა სოფელი, მამული, ციხე, დუქანი, აბანო, წისქილი, ბაღი და სხვა. ხარაბა ჩართული იყო სამოქალაქო ბრუნვაში, კერ-ძოდ, იყიდებოდა, საზღაურად (მაგალითად, საუპატიოდ) მიცემ-მოდა, შეიწირებოდა და ქონების გაყოვისას წილშიც შედიო-და... ხარაბა ადგილების „გაგეოთება“ ერკლე შეორის პროგრა-მის სიციალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს შეადგენდა“ (ი. ვუტკარაძე, 1987: 434). სოფელ თეზის გაპარტა-ხების მთავარ მიზეზად ლეკიანობა უნდა მივიჩნიოთ, ნ. ბერძე-ნიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟამი საქართველოს უმძი-მესი ძნელდებობისა (ბერძენიშვილი, 1944: 178). ქსნის ხეობას რომ მძიმე დაღად დააჩნდა დაღესტნელი აბრაგების თარეში. ეს ჩანს გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის მონათხ-რობში, იგი ხშირად ახსენებს სიტყვებს: „გაპარტახებული“, „ნაოხარი“; „ლორწონის ახლოს არის გაპარტახებული სოფე-ლი ტონჩა“, „გავიარეთ განადგურებული სოფელ ძეგლევის ნაშთები“, „გავცდით ნაოხარ სოფელ ოძისის თოხუთხა ვიწ-რო კედლებს“... (გიულდენშტედტი, 1962: 51-53). გიულდენშტედ-ტი იმ გზასაც ასახელებს, რომლითაც ლეკები გადაადგილდე-ბოდნენ: „ილტოზის ახლოს ქსანსა და ნარეკვავს შორის მი-დის ჩვეულებრივი გზა ლეკებისა, რითაც ისინი არაგვიდან, მჭადისჯვარზე გავლით, მიდიან მთით ლამისყანამდე და ქრცხინგალამდე“ (გიულდენშტედტი, 1962: 53). ვრცელი ანალი-ზი იხ., ახლოური, გიულდენშტედტი, 2016). ლეკები ლამისყა-ნისკენ მიმავალ გზაზე, რომ თეზსაც ააოხრებდნენ, ესეც ბუ-ნებრივია, ამიტომაც არის, რომ 1804 წლის აღწერაში, ძირი-თადად, ქსნის ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან ჩასახლებული კომლები გვხდება:

ქსნის ერისთავის ყმები, ქართველები, რომლებსაც მიწა არ პქონიათ, ამუშავებენ მუხრანელის საკუთრებაში არსებულ მიწებს და მებატონებს უხდიან მისივე განკარგულებით დაწესებულ დალას, ანუ მარცვლეულით გადასახადს, მიწით სარგებლობისთვის.

- 1) მდგდელი გიორგი მამაკაცი, 4 მამაკაცი, 5 ქალი.
 - 2) მდგდელი მახარაბელი ყველაშვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 3) ივანე თინიკა შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი.
 - 4) ფიოდორ ელურიძე (ილურიძე - დ. ა.), 3 მამაკაცი, 3 ქალი.
 - 5) ოსეპ დორეული, 5 მამაკაცი, 3 ქალი.
 - 6) ბერო გუჯია შვილი (ბუჯია შვილი - დ. ა.), 4 მამაკაცი,
- 2 ქალი.
- 7) სიდამონ ბუნტუროვი (ბუნტური - დ. ა.), 1 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 8) შიო მჭედელაშვილი, 3 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 9) გასილი ბუნტური, 3 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 10) ბერო როხროხაძე, 4 მამაკაცი, 4 ქალი.
 - 11) ლაზარე მილაური, 6 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 12) ლაზარე წიკლაუროვი (წიკლაური - დ. ა), 4 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 13) ივან წიკლაუროვი (წიკლაური - დ. ა), 1 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 14) სიხარული ჭიკაძე, 5 მამაკაცი, 4 ქალი.
 - 15) დათუნა შარმადინი (შერმადინი - დ. ა), 4 მამაკაცი, 3 ქალი
 - 16) პატარკაცი ყველა შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი.
 - 17) გლახა შარმადინა (შერმადინი - დ. ა), 5 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 18) თომა ბუნტური, 5 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 19) ნინია ბაშარული, 3 მამაკაცი, 4 ქალი.
 - 20) გიორგი შარმადინა (შერმადინი - დ. ა), 5 მამაკაცი, 5 ქალი.
 - 21) საბუჯური ბუჯია (შვილი - დ. ა), 4 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 22) შაგლა (შალგა - დ. ა) ხოკრიშვილი, 1 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 23) აქედ გომელა (აღდგომელა - დ. ა) შიუკაშვილი, 2 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 24) ძალლია პაველ შვილი (პავლიაშვილი - დ. ა.), 2 მამაკაცი, 2 ქალი.

არც ესაა გასაკვირი, რომ ქსნის საერისთავოს სამხრეთ-და-სავლეთის სასაზღვრო ზოლის სოფელში მცხოვრები ერისთავის ყმები მუხრანელი მებატონის მიწით სარგებლობენ, სამუხრანბატონოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა, მისი ჩრდილოეთ საზღვარი ოძისი იყო, რომელიც ქსნის ერისთავებს ექუთვნოდათ, ხოლო დასავლეთით საამილახვროს ემიჯნებოდნენ, აქედან გამომდინარე, მკითხველისათვის გასაგები ხდება ოეზის სიახლოვე მუხრანთან...

თავად გავრილა რატიშვილის (რატიშვილის - დ. ა.) ყმები, ქართველები:

- 25) იქსე გოჩა შვილი, 1 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 26) გიორგი გოჩა შვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 27) როსტევან გოჩა შვილი, 3 მამაკაცი, 3 ქალი.
 - 28) ნინია გოჩა შვილი, 3 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 29) გლახა გოჩა შვილი, 2 მამაკაცი, 1 ქალი.
 - 30) სტეფან მახარა შვილი, 2 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 31) ბერი მახარა შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 32) იქსე გულია შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი.
 - 33) ივან ქართველი შვილი, 4 მამაკაცი, 3 ქალი.
- სულ რატიშვილის ყმების სიაში 9 კომლია, 43 დღის მიწა აქვთ, ხაზინას გადასახადს უხდიან მიწის მესაქუთრის დაგდგნილი გადასახადის მიხედვით, ნატურის სახით, 10 1/2 კოდი პური, 7 კოდი ხორბალი, 3 1/2 კოდი ქერი... სულ 7 მანეთსა და 70 კაპიკს.

ერისთავისა და რატიშვილის მიწაზე ცხოვრობს 33 ოჯახი, 109 მამაკაცი, 76 ქალი, რატიშვილის ყმებს აქვთ 43 დღის სახავი მიწა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადასახადს იხდიან ხაზინისთვის...

ოთანე ნათლისმცემლის საეკლესიო ყმები, ქართველები:

- 1) ავთანძილ რიკული (ხრიკული - დ. ა.), 4 მამაკაცი, 3 ქალი, 20 დღის მიწა, 1 ბადი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, 5 კოდი პური, აქვს წისქვილი, სახაზინო არ გადაუხდია, გადაიხადა საეკლესიო გადასახადი 25 თუნგი ღვინო, 1 ცხვარი, 1 მანეთის გამომცხვარი პური, 50 კაპიკის ცვილი და საკმეველი, სულ: 5 მანეთი.
- 2) ბერი დოლა შვილი (დოლიშვილი? - დ. ა.), 4 მამაკაცი, 2 ქალი, 10 დღის მიწა, 1 ბადი, მოჰყავს 120 თუნგი ღვინო, გადაიხადა ასევე 5 მანეთი.

3) ნინია დოლე შვილი (დოლიშვილი? - დ. ა.), 3 მამაკაცი, 1 ქალი, გადაიხადა ასევე 5 მანეთი.

საეკლესიო ყმები 3 ოჯახია, 11 მამაკაცი, 6 ქალი, 40 დღის მიწა, 1 წისქვილი, 3 ყურძნის ბალი, მოჰყავთ 360 თუნგი ღვინო, სახაზინო გადასახადს არ იხდიან, საეკლესიო გადაიხადეს 15 მანეთი, ღვინის, ცხვრის ანუ საკლავის, გამომცხვარი პურის, ცვილისა და საკმეველის სახით.

სულ სოფელ თეზში უცხოვრია 120 მამაკაცს და 82 ქალს, მათ მფლობელობაშია 83 დღის მიწა, მოჰყავთ 360 თუნგი ღვინო, აქვთ 1 წისქვილი, გადაიხადეს 22 მანეთი და 70 კაპიკი (გსიემ, 1956: 1-5).

1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულოს აღწერის შეჯამებითი ცნობების მიხედვით თეზში 32 კომლია, 91 მამაკაცი, 66 ქალი (Акты, 1868: 82). როგორც ვხედავთ, მეკომურთა რაოდენობა ერთი წლის მანძილზე 4 ოჯახითაა გაზრდილი, თუმცა მკვეთრადაა შემცირებული სულადობრივი რაოდენობა, როგორც მამაკაცების (120-დან 91-მდე), ისე მდედრობითი სქესის (82-დან 66-მდე).

შედეგები და დასკვნები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოსახლეობის ნაწილი ქსნის ხეობის მთის სოფლებიდანაა ჩამოსახლებული, ძირითადად, ქარხოხის, ჭურთისა და ცხრაზმის ხეობებიდან. ქსნის ხეობის მთის მოსახლეობის ბარის ზოლში და, კერძოდ სოფელ თეზში, მიგრაციაზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილა დ. გვრიტიშვილმა, როგორც იგი აღნიშნავს, სოფელ თეზში მცხოვრები ბუნტურები მოსულნი არიან ცხავატიდან, ხრიკულები - ქურთიდან, ყველაშვილები - ყველდაბიდან (გვრიტიშვილი, 1955: 76). ცხადია, ამ შემთხვევაში ცნობილი მეცნიერი თავის თანამედროვე თეზის მოსახლეობაზე საუბრობს, დახლოებით მეოცე საუკუნის 50-ანი წლები... მხოლოდ ერთი შენიშვნა გვექნება - ყველაშვილები მახიარეთიდან უნდა იყვნენ მოსულები, იქ იყო მათი სამკვიდრო, ყველაშვილი და ყველდაბა, როგორც ჩანს, მკვლევარმა მექანიკურად გააიგივა ერთმანეთთან, თორემ მან ჩვენზე უკეთ იცოდა, ქსნის ხეობის რომელ სოფელში რომელი გვარი ცხოვრობდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თეზში მოსახლეობის დიდი ნაწილი თანამედროვე ახალგორის მუნიციპალიტეტიდან იყო ჩასახლებული: თინიკაშვილი თინიკაანიდან, დორეული დორეთკარიდან, ილურიძე ილურთკარიდან, ბუჯიაშვილი ჭურთიდან, ხრიკული ნახიდიდან, პავლიაშვილი პავლიანთკარიდან,

ბუნტური ცხავატიდან, შერმაღინი მშგველიერთიდან, ბაშარული დაბქნეთიდან, ხოკრიშვილი ვაკედან, შიუკაშვილი უქანამხრიდან და ასე შემდეგ... აღნიშნულ სოფელში მთიელთა ჩასახლება მომდევნო პერიოდებშიც გაგრძელდა, მაგალითად, აქ ცხოვრობენ სოფელ ახლოურთიდან ჩასახლებული ჩემი გვარის რამდენიმე კომლი. ზოგადად, ქალაქ ქასაში და მის სოფლებში ქსნის ხეობიდან მიგრირებული ასეულობით ოჯახი ცხოვრობს.

გადასახადების მიხედვით ირკვევა, რომ სოფლის მოსახლეობის წამყვანი დარგი მემინდვრეობაა, მოჰყავთ პური, ხორბალი, ქერი... როგორც დ. გვრიტიშვილი შენიშნავს, ქსნის ხეობის როგორც მთის ისე ბარის ზოლში „შედარებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო ქერის ხვედრითი წონა“ (გვრიტიშვილი, 1955: 151).

თქნის მიწები, ქსნის ხეობის მთის მოსახლეობის მამულებისგან განსხვავებით, უფრო ნაყოფიერია და სახნავად გამოსაყენებელი, რაც განაპირობებდა მთის ჭარბი მოსახლეობის ბარისგან მიგრაციას, ერისთავების ყმები, უმეტესწილად, ისევ ერისთავის მამულში მკვიდრდებოდნენ. მემინდვრეობის გარდა, აქ განვითარებული ყოფილა მევენახობა და მეფუტკრეობა, რომელსაც, ძირითადად, საეკლესიო ყმები მისდევდნენ, მათ ევალებოდათ სწორედ იოანე ნათლისმცემლის ტაძრისთვის ცვილისა და საქმევლის გაღება. ასევე, ბუნებრივია, განვითარებული იქნებოდა მეცხოველეობა და მესაქონდეობა; მთიდან ჩამოსული ხალხი, ადვილად ვერ შეელეოდა ტრადიციულ საქმიანობას, ოღონდ ამ დარგის ხვედრითი წილი შედარებით მცირე ჩანს... მხოლოდ საეკლესიო ყმებს ევალებათ ტაძრისთვის საკლავის შეწირვა, თუმცა არაა მითითებული, რა სახით იხდიან გადასახადს ერისთავის ყმები, რომლებიც მუხრანელის მიწაზე იდგნენ... არ არის გამორიცხული მათ მუხრანის მიწები საძოვრადაც გამოეყენებინათ. ისტორიულად ცნობილია, რომ ქსნის ხეობელები ცხვრის საზამთრო საძოვრებად იყენებდნენ ქართლის ბარის სოფლებს, მათ შორის ძეგლევს, ქსოვრისს, ოძისს, წილაქს, ოკამს, მუხრანს, ადაიანს და ასე შემდეგ... უფრო მოგვიანო პერიოდში მუხრანში ვარეხებიც პქონდათ აგებული ციხისძირის ქედზე, დამპალოს ქედზე და წლევის მთასთან (მაკალათია, 1975: 66-67). მუხრანი რომ ნაყოფიერი და ზამთარში ცხოველთა საბალახოდ საუკეთესო სოფელი იყო, ამაზე ვახუშტიც მიგვითოთებს: „ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-

ლერწმოგანი, ზაფხულს მშეენი, კეთილ-აგარაკოგანი, ცივნი წყარონი, პავიო მშეენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტოა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლექს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოგარნი არიან“ (ბატონიშვილი, 1973: 352).

უნდა ითქვას ისიც, რომ მეთვრამეტე საუკუნის ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებში თეზი არ გვხვდება (იხ.: თაფაიშვილი, 1945; ჯავახიშვილი, 1967)...

ბოლოს, 2002 წელს თეზში 995 ადამიანი ცხოვრობდა, 514 მამაკაცი და 481 ქალი, მოსახლეობის 99 პროცენტი ქართველია (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 230). 2014 წლის მონაცემით სოფლის მოსახლეობა საგრძნობლადაა შემცირებული, 738 ადამიანიდან 377 მამაკაცია, 361 - ქალი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ანანურის... 254: ანანურის მაზრის აღწერილობა, სცსა, ფონდი 254, საბუთი, 59, ფურცელი 101-131.

ახლოური, ახალგორის, 2006: ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006.

ახლოური, გიულდენშტედტი..., 2006: ახლოური დ., იოჰან (ახტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბ., 2006.

ბატონიშვილი, 1941: ბატონიშვილი დ., ახალი ისტორია, ბატონიშვილი ბ., ახალი მოთხოვბა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941.

ბატონიშვილი, 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ბერძენიშვილი, 1944: ბერძენიშვილი ნ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მსკი, ნაკვ., I, 1944.

ბერძენიშვილი, 1990: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

გვასალია, 1983: გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარჩენები (შიდა ქართლი), თბ., 1983.

გვასალია, 1986: გვასალია ჯ., ქსნის საერისთავო, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 10, თბ., 1986.

გიულდენშტედტი, 1962: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაუროო გ. გელაშვილმა, ტ., I, 1962.

გვრიტიშვილი, 1955: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს ხოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გხიება, 1956: გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გხიება), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486.

თაყაიშვილი, 1954: თაყაიშვილი გ., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსნა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951.

თეზი, 1979: თეზი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ., 4. თბ., 1979.

იასე ოსეს ძე ბარათაშვილი, 1950: იასე ოსეს ძე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერმა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ., 28, 1950.

მაკალათია, 1975: მაკალათია მ., მეცხოველეობა, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975.

საქართველოს ისტორიის... 1990: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ.5, თბ., 1990.

საქართველოს მოსახლეობის... 2003: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მირითადი შედეგები (საქართველოს ხოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003.

სცა 1450: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1450, საბუთი 28-140 (3).

წმინდა სინოდის... 2013: წმინდა სინოდის სხდომის ოქმი, 15.10. 2013.

ვუტკარაძე, 1987: ვუტკარაძე ი., ხარაბა, ქსე, ტ., 11, თბ., 1987.

ჯავახიშვილი, 1967: ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეპონომიური ისტორიის ძეგლები, ტ., 1, 1967.

Акты, 1968: Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868.

Акты, 1878: Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том VII. Тифлис, 1878.